ხელშეკრულება N85

ქ.ხაშური 20 ივნისი 2016 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით , მეორე მხრივ **შპს კულინარი2012, წარმოდგენილი დირექტორის პაატა მინაძის სახით** (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

ხაჭაპური და ლობიანი CPV: 15811500

2.ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 67.50 (სამოცდაშვიდი და ორმოცდაათი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების საგნს სრულად მიწოდებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე.

4.2.საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1.საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ხაშური

5.2.საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 21 ივნისი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსზღვრულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

.6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1..ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური რირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

.8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორ მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესიხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 21 ივლისამდე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება	შპს „კულინარი 2012“
ხაშური,რუსთაველის მე-2შესახვევი ხაშური	ხაშური, რუსთაველის 12
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070	საიდენტიფიკაციო კოდი 443855446
ბანკის კოდიTRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE20BG0000000354918600
გაერთიანების დირექტორი	*დირექტორი*
გიორგი ბოლოკაძე	*ბაატა მინაძე*

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ხაშური 21 ივნისი 2016 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორის გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ **შპს „კულინარი“, დირექტორის პაატა მინაძის** სახით წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ **2016 წლის 20 ივნისს** დადებული ხელშეკრულება **N85ის** საფუძველზე, მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა **67.50 (სამოცდაშვიდი და ორმოცდაათი)** ლარის ღირებულების ლობიანი და ხაჭაპური ხაშურის თოჯინების თეატრის სპექტაკლის პრეზენტაციისთვის.

აქტს ხელს ვაწერთ და ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გაგვაჩნია

მიიღო

.....

გიორგი ბოლოკაძე

ჩააბარა

.....

პაატა იმნაძე